იმპერიის წინააღმდეგ



AGAINST THE EMPIRE

BGI LEGAL

2024

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

SOVLAB



წელს ასი წელი სრულდება 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყებიდან. ყველაზე მასშტაბური ეროვნული აჯანყების ამ წლისთავს საქართველოს მოქალაქეები კვლავ მნირი ინფორმაციით, მცდარი ინტერპრეტაციებით, მითებისა და ლეგენდების ამარა ხვდებიან.

ეს აჯანყება იმ მასობრივი წინააღმდეგობის მოძრაობის, განუწყვეტელი შეიარაღებული ბრძოლის ლოგიკური დაგვირგვინება იყო, რაც 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ საქართველოში დაიწყო. მასში ჩართული იყო საქართველოს მოსახლეობის ფართო სპექტრი, იატაკქვეშეთში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების აქტივი, სოფლის მოსახლეობა, ახალგაზრდული იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაციები, მოქმედი და გადამდგარი სამხედროები, ქალთა ორგანიზაციები, მოსწავლეები - რეალურად, მთელი პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება.

აჯანყებისას ბრძოლებში გმირულად დაღუპული და, მარცხის კვალდაკვალ, საბჭოთა რუსული საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაუნდობელი ანგარიშსწორების შემდეგ დახვრეტილთა ზუსტი რიცხვი დღემდე დაუდგენელია. წინააღმდეგობის მოძრაობა მათ რიცხვს 3900 ადამიანამდე ანგარიშობდა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აქტიურ მოქალაქეთა ამ მასობრივმა განადგურებამ დიდი დარტყმა მიაყენა წინააღმდეგობის მოძრაობას, ხოლო საოკუპაციო, ტოტალიტარულმა რეჟიმმა, მცირე შოკისა და უკანდახევის შემდეგ, მორიგი - პერმანენტული მასობრივი პოლიტიკური ტერორისათვის მობილიზაცია განაგრძო.

საბჭოთა რუსული საოკუპაციო რეჟიმი და მისი პროპაგანდა შემდგომი ათწლეულები გეგმაზომიერად ცდილობდა 1924 წლის აჯანყების გმირების დისკრედიტაციას და თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიის მოქალაქეთა მეხსიერებიდან წასაშლელად ყველა ხერხს მიმართავდა.

აგვისტოს აჯანყებისას დაღუპულთა შორის იყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების 12 დეპუტატი. მათი უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოს წევრობის მიღმა სხვა მრავალ სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და ინიციატივებში იყვნენ ჩართული.

ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების 100 წლისთავზე „ჭავჭავაძის ცენტრის“ და „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ თანამშრომლობითა და „ბიჯიაი ლეგალის“ მხარდაჭერით მომზადებული კალენდრის თითო თვე სწორედ მათ - 1924 წლის აჯანყების მსხვერპლს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თითო დეპუტატს ეძღვნება, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისიდან დემოკრატიული საქართველოს ევროპულ მომავალს ქმნიდნენ, ხოლო საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში და საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობას.

ვიმედოვნებთ, საქართველოს მომავლისათვის ძალზე მნიშვნელოვან 2024 წელს, ამ კალენდრით მცირე წვლილს შევიტანთ საზოგადოების მობილიზებაში, რათა ჩვენმა თანამოქალაქეებმა თვალი გაუსწორონ წარსულის ამ ტრაგიკულ სურათს და გააცნობიერონ საქართველოს მიმართ რუსული აგრესიული იმპერიალიზმის დანაშაულებების მასშტაბი, რათა სამუდამოდ გავთავისუფლდეთ რუსული ოკუპაციისგან და რეალური თავისუფლება მოვიპოვოთ.

This year marks the 100th anniversary of Georgia's 1924 uprising against the Soviet Russian rule. A century from the historic date and 33 years after regaining independence, most Georgians still have but limited information about the rebellion, often remaining hostage to incorrect interpretations, Soviet myths or modern-day Russian disinformation.

The uprising was a logical culmination of a massive resistance movement and continuous armed clashes that started immediately after Georgia's occupation by Soviet Russia in 1921. The uprising united all segments of the Georgian population: the rank and file of Georgian political parties, rural population, underground political youth organizations, active and retired military, women's organizations, students – in reality, the entire Georgian public and civil society.

The exact number of persons who fell heroically during the uprising and after its failure, or the persons executed during the ruthless revenge campaign by the Soviet Russian occupation regime is still unknown. The estimated number is 3900 people.

The extermination of active citizens fighting for the independence of Georgia was a huge blow for the resistance movement. After the initial shock and retreat, the totalitarian occupational regime regrouped and continued its campaign of political terror with increased zeal.

During the next several decades the propaganda machine of the Soviet regime worked hard to discredit the heroes of the 1924 uprising and erase the history of the heroic fight for independence from the memory of Georgian citizens.

Twelve members of the Constituent Assembly of independent Georgia were among the heroes fallen during the August uprising. In addition to membership of the legislative body, most of the victims were involved in various state institutions and social initiatives.

On the 100th anniversary of the anti-Soviet uprising, the Chavchavadze Center and Soviet Past Research Laboratory, with the support of BGI Legal, have collaborated to create this calendar, where each month is dedicated to one member of the Constituent Assembly of the Georgian Democratic Republic who fell victim of the 1924 uprising – who had been laboring to create a democratic, European future for Georgia, participated actively in the resistance movement following Soviet Russian Occupation and sacrificed their lives in an attempt to restore Georgia's independence.

We hope that during the year 2024, a year of utmost importance for Georgia's European future, this calendar will contribute to the mobilization of Georgian public in facing the tragic past, acknowledging the scope of Soviet crimes against Georgia, and freeing the country once and for all from Russian occupation.





დაიბადა 1883 წელს. დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ახალგაზრდობიდანვე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და 1900 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი. რუსული ხელისუფლების მიერ მრავალჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. 1917 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იყო მიწადმოქმედების მინისტრი და აქტიურად მონაწილეობდა აგრარული რეფორმის გატარებაში. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. პარალელურად აგრძელებდა მიწადმოქმედების მინისტრის მოვალეობას. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. არალეგალურად დაბრუნდა 1922 წლის ოქტომბერში. იყო ინტერპარტიული კომიტეტის რწმუნებული და წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი. ჩეკამ დააპატიმრა 1923 წლის 9 ნოემბერს. გადაგზავნილი იყო რუსეთში. საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე ფელიქს ძერჟინსკის სანქციით დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან გადაყვანისას გაურკვეველ ადგილას.

Born in 1883. Graduated from Agricultural Economic Institute of Kutaisi. Was politically active since his youth. From 1900 was a member and a distinguished leader of the Social-Democratic Party. Was arrested and exiled on numerous occasions by the Russian government. In 1917 returned from exile. In November of 1917 was elected as the member of the Georgian National Council. On May 26, 1918, signed the Independence Act of Georgia. Was a Minister of Agriculture and participated actively in the implementation of agricultural reform. In 1919 was elected as the member of the Georgian Constituent Assembly. Simultaneously, continued to serve as the Minister of Agriculture. Emigrated following the Soviet Russian occupation of 1921. Returned illegally in October 1922. Was the trustee of inter-party committee and a leader of the resistance movement. Was arrested on November 9, 1923, and sent to Russia. Immediately following the start of the anti-Soviet uprising in Georgia, he was executed under orders of Felix Dzerzhinsky while being transported from Suzdal prison to another location. The exact place of execution is unknown.

01 2024

იანვარი 2024 January

ნოე ხომერიკი
NOE KHOMERIKI

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL





დაიბადა 1882 წელს, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ წიაღობანში. ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო რევოლუციურ მოძრაობაში და 1904 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რის გამოც არაერთხელ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო აგრარული და ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრი და სამეურნეო-საგამგეო კომისიის მდივანი. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დააპატიმრეს 1924 წლის 23 მაისს. ჩეკისტების ზეწოლის მიუხედავად არ გასცა თანამებრძოლები. დახვრიტეს თბილისში, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყების შემდეგ, სავარაუდოდ 30 აგვისტოს.

Was born in 1882, in the village of Tsiaghobani, Kutaisi District. From his early youth was involved in revolutionary movement. From 1904 was a member of the Georgian Social-Democratic Party. On these grounds was arrested on numerous occasions and exiled by the Czarist Russian government. In 1919 was elected as the member of the Georgian Constituent Assembly. Was a member of Agricultural and Central Elections Commissions and the secretary of Economic-Management Commission. After the Bolshevik invasion of 1921, he was involved in the resistance movement. Was arrested on May 23, 1924. In spite of pressure from the Russian “CHEKA”, did not betray his co-conspirators. Was executed in Tbilisi, after the start of anti-Soviet uprising in 1924, on or around August 30.

02 2024

თებერვალი 2024 February

სარდიონ თევზაძე
SARDION TEVZADZE

ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH

EXPERTISE | EXPERIENCE | EFFICIENCY

BGI LEGAL



დაჭრილ ვალიკო ჯუღელი

საქართველოს საგანგებო კომისიამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა აზრომელ ხალხს, რომ საბჭოთა ბელისტოფლების მტრობის ქუდიდული შემოპარვა ჩვენ მიწა-წყალზე მაინ არ გამოუპარება.

ბოლშევიკი, ჩხიკვიშვილი, ეხლა ვალიკო ჯუღელი. ასე მოიყარა ყველამ თავი ერთად

ვალიკო ჯუღელის სახელი ყველას გიგონია

საქართველოში მკვლევრებს ბევრი ცოდვა და დანაშაული ექვთ ჩადენილი, მაგრამ ყველაზე უფრო საშიშარი და საშინელი იყო ის დაუსრულებელი სისხლის ღვრა, რომელსაც არ ჰქონდა დასასრული „დამოუკიდებელ“ საქართველოს მიწა წყალზე.

დაიბადა 1887 წლის 15 სექტემბერს (ძვ.სტ.). გაიზარდა სოხუმში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მონაწილეობდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციაში. 1917 წლამდე იყო ბოლშევიკი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიემხრო ნოე ჟორდანიას. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდალი და დამოუკიდებლობის დასაცავად მონაწილეობდა ყველა ბრძოლაში. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში, სტამბოლში და შემდეგ საფრანგეთში, სადაც სწავლება გაიარა სენ-სირის სამხედრო აკადემიაში და ბელფორის 35-ე პოლკში. 1924 წლის გაზაფხულზე არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ჩეკამ დააპატიმრა 1924 წლის 6 აგვისტოს. დახვრიტეს თბილისში, სავარაუდოდ 30 აგვისტოს.

Born on September 15, 1887 (old style). Raised in Sokhumi. Went to the University of St.Petersburg. Took part in the 1905 Russian revolution. Was a Bolshevik until 1917. Supported Noe Zhordania after the 1917 February revolution. Was a commander of the National Guard of Georgian Democratic Republic and participated in all battles for the defense of independence of Georgia. Following the Soviet Russian occupation in 1921 he left Georgia and lived in Istanbul, then in France, where he studied in a military academy. In the Spring of 1924, he returned illegally to Georgia to participate in anti-Soviet national uprising. Was arrested on August 6, 1924. Was executed in Tbilisi, on or around August 30.

03 2024

მარტი 2024 March

ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი
VALERIAN (VALIKO) JUGHELI

პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU

EXPERTISE | EXPERIENCE | EFFICIENCY

BGI LEGAL



უკანასკნელი ტრიბუნალი

მოგვალისთა ბანდიტიზმი

ბაქოში გაბოროტებული მოხალისეთა „ბანდიტიზმ“ „ჯოლლის ჩოხსა“, რომელიც ... სტანდა შეშფოთებულ ...

...ამ ბოლო დროს საქართველოს მოგ... ...ბა ლეგს ... ...ბოლ... ...ბ... ...ბ... ...ბ





О ГПУ
~~В. Ч. К.~~

ПРЕДСЕДАТЕЛЬ

«___» _____ 192__ г.

МОСКВА, Б. Лубянка 2.

т. Менжинскому

Согласно решения правительства Закавказской Республики прошу распорядиться о немедленном приведении в исполнение высшей меры наказания по отношению к: 1/ Пагава, 2/ Нодия, 3/ Цинцзвабрисвили, 4/ Кашерики и 5/ Чихвишвили.

31 VIII 24 г.

Дзержинский

31/VIII 24 г.

დაიბადა 1891 წელს, ფოთში. 1905 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ჩაბმული იყო რევოლუციურ მოძრაობაში. მეფის რუსეთის დროს სამჯერ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური საბაბით. 1912 წელს გაიწვიეს ჯარში და იყო ფერშალი. 1914 წელს ტყვედ ჩავარდა ავსტრიის ფრონტზე და ორი წელი გაატარა ტყვეობაში. გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო პარტიული მუშაობა. 1919 წლის მარტში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის დროს იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ ფრონტზე, რიგით ჯარისკაცად. 24 თებერვალს ჩავარდა ტყვედ, თუმცა გზიდან გაქცევა მოახერხა და ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დაპატიმრებული იყო 1921 და 1922 წლებში. 62 პოლიტპატიმართან ერთად გაასახლეს საზღვარგარეთ. არალეგალურად დაბრუნდა 1924 წლის გაზაფხულზე ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობისთვის. დააპატიმრეს 1924 წლის ზაფხულში. გადაგზავნილი იყო რუსეთში. საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე ფელიქს ძერჟინსკის სანქციით დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან გადაყვანისას გაურკვეველ ადგილას.

Was born in Poti, in 1891. From 1905 was a member of the Social-Democratic Party and was involved in the revolutionary movement. During Czarist Russia, he was arrested three times on political grounds. In 1912 was drafted to the army and served as a paramedic. In 1914 was captured as prisoner on the Austrian front and remained imprisoned for two years. Once freed, he returned to Georgia and continued party work. In 1919 was elected as a member of the Georgian Constituent Assembly. In 1921 during Soviet Russian occupation, he fought against the invading Red Army as a private. On February 24, 2021, he was captured, but managed to escape. Was involved in the resistance movement after the occupation. Was arrested again in 1921 and 1922. Was sent to exile with 62 other political prisoners. Returned illegally to Georgia in the Spring of 1924 to partake in the uprising. Was arrested in the Summer of 1924 and sent to Russia. Immediately following the start of the anti-Soviet uprising in Georgia, he was executed under orders of Felix Dzerzhinsky while being transported from Suzdal prison to another location. The exact place of execution is unknown.

05 2024

მაისი 2024 May

ვასილ ნოდია
VASIL NODIA

ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL

ლა დაიწყეს ჯერ კიდევ მესამე დასელების რევოლიუციოსტურმა ფრთამ ამხ. **ფილიპე მახარაძის, მიხა ცხაკაიას** და სხვა მეთაურობით.

ის მზადდებოდა თავდაზღვაურულ რეაქციასთან გააფთრებულ ბრძოლაში, რომელსაც მეთაურობდენ ილია ჭავჭავაძე და სხვები.

ისტორიული ,ჩარხი ისე დატრიალდა, რომ თავდაზღვაურული რეაქციის, ილია ჭავჭავაძის ხაზის გამგრძელებლად, საქართველოში მესამე დასის იმავითვე შემარჯვენე ფრთიდან წარმოშობილი მენშევიზმი გაძოვდა.

მენშევიზმი წარმოშობის დღიდან, განსაკუთრებით საქართველოში ხელისუფლების მოპოების დროს, ურყევად, შეუდრეკლად იმყოფებოდა იმპერიალიზმის ბანაკში და იბრძოდა პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ.

საქართველოს „ბედის" გადაწყვეტა მენშევიკებმა მოინდომეს და ის „თავისებურადაც" გადასწყვიტეს. საქართველო იმპერიალიზმის კოლონიად გადააქციეს და იმ სამი წლის მანძილზე შექმნილი კორიანტელში, როდესაც მათ ხელისუფლება ხელში ჰქონდათ, დაარბიეს და გაანადგურეს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, ჩვენი ქვეყნის კულტურა.

გამარჯვებულმა მუშათა კლასმა შეუძლებლად გახადა იმის განმეორება, რაც საქართველოში .იმ სამი უბადრუკ წლის განავლობაში ხდებოდა.

კომუნისტურმა პარტიამ წაიყვანა საქართველოს მშრომელი ხალხი აქამდე არნახული და გაუგონარი ტემპებით, აყვავების და აღდგენის გზაზე.

მენშევიკები ევროპის ბურჟუაზიის კარნახით მოქმედებდენ

იბადება კითხვა: რა აზრი აქვს მენშევიკების შეიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

მე ეჭვი კი არ მეპარება, რომ მენშევიკებმა მშვენიერად იცოდენ, რომ ვერ შესძლებდენ ხელისუფლების დაპყრობას. ეს მათ კარგათ ესმოდათ.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა თითქოს მენშევიკთა შორის მოიპოვებოდეს ისეთი რეკვენი, რომელსაც ჰქონოდა აზრად, რომ ჩვენ ბოლშევიკები „გადავსცემდით" მათ ხელისუფლებას—ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ გამოსვლის მიზანი იყო დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობათა გულისმოსაგებად მოეწყოთ საქართველოში „სკანდალი" და ამით ყველა ქვეყნების ბურჟუაზიისათვის მიეცათ საშუალება ერთხელ კიდევ ეკბინათ პროლეტარულ სამშობლოთა კავშირისათვის.

ეს გამოსვლა ქართველ მენშევიკებს ნაკარნახევი აქვთ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობების და განსაკუთრებით საფრანგეთის მთავრობისაგან!





დაიბადა 1872 წელს. დამთავრებული ჰქონდა ტფილისის სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლები. ჯერ იყო ხალხისნური მოძრაობის და შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ იყო მრავალჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული. მეორე გადასახლებიდან დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის ნოემბერში არჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1919 წლის მარტში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო აგრარული, მომარაგების და თვითმმართველობის კომისიების წევრი. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. ვასილ ცაბაძე 1907 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით დოკუმენტებს აგროვებდა და იძიებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას. ჩეკამ დააპატიმრა 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების დაწყებისთანავე და სავარაუდოდ დახვრიტეს 30 აგვისტოს. მისი დოკუმენტები ჩეკამ ამოიღო და დაიკარგა. ვასილ ცაბაძის მეუღლემ დევნისა და შევიწროების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

Was born in 1872. Graduated from Tbilisi Civil and Technical Schools. At first, was a member of the people's movement, and then the Social-Democratic Party. Was arrested and sent into exile on numerous occasions by the Czarist Russian government. Returned from the second exile after the 1917 February revolution. In November of 1917 was elected as a member of the National Council. On May 26, 1918 signed the Georgian Independence Act. In March 1919 was elected as the member of the Georgian Constituent Assembly. After Soviet Russian occupation in 1921 remained in Georgia and was involved in the resistance movement. From 1907, at the instruction of the Social-Democratic Party, gathered documents and investigated the murder of Ilia Chavchavadze. Was arrested by "CHEKA" at the beginning of the August 1924 uprising. His documents were seized by Soviet authorities and are considered to be lost. His wife took her own life, due to pressure and persecution.

06 2024

ივნისი 2024 June

ვასილ ცაბაძე
VASIL TSABADZE

შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU

EXPERTISE | EXPERIENCE | EFFICIENCY

BGI LEGAL



№ 3 ბრძოლა 97

ალექსანდრე ჩიქავა.

ალ. ჩიქავა დაიბადა 1882 წ. ზუგდიდის მაზრაში. 1901 წ. დაამთავრა ქუთაისის სამეფო-სკოლა, სადაც ის მოწაფეთა არალეგალურ წრეებში მონაწილეობდა. აქ ის სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას გაეცნო. მას შემდეგ ის განუწყვეტლივ პარტიის აქტიურ წევრად ირიცხებოდა, საშუალოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის შექმნაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ალექსანდრე ჩიქავა ეკუთვნოდა პარტიის ძველ მუშაკთა იმ ჯგუფს რომელიც ფრთებს შლიდა განსაკუთრებით არალეგალურ ხანაში, როცა ჩვეულებრივ, მეოცეე ელემენტი ერთვება და პარტიას შორდება. ის იდგა პარტიის სადარაჯოზე სწორედ შვიბნელ რეაქციის ხანაში და საშუალოს ორგანიზაციების დავალებით პარტიის კრებებსა და კონფერენციებში მონაწილეობას იღებდა. სხვათა შორის ის 1914 წ. დაესწრო პარტიულ კონფერენციას, რომელიც მოწვეულ იქნა ომის დაწყების შემდეგ და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ი შვიცარია საშუალოსაშურსაცოს ისეთი მიკარდნილი კუთხეც კი, რომელიც ალ. ჩიქავას არ ალაბობდეს. ალ. ჩიქავა ერთერთ საუკეთესო ორგანიზატორად ითვლებოდა მთელს საშუალოში. ამიტომ როცა დამფ. კრების არჩევნები დაიწყო, ის სრულიად უდაო კანდიდატი შეიქნა და არჩეულ იქნა დეპუტატად. აქ ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა კომისიებში. ამავე დროს მას მუდამ ჰქონდა მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

როცა მოხდა საქართველოს ოკუპაცია, ამხ. ჩიქავას, პარტიის ძველ ტრადიციების საუკეთესო მატარებელს, არ შეეძლო მტარვალთა წინაშე ქედს მოხრა და მათთან შეგუება. ამიტომ იყო, როცა ოკუპაცია დაიწყო, ის წავიდა თბილისში, სადაც ის უნივერსიტეტში ირიცხებოდა, და მეორე ღღესვე დახვრიტეს. დაკარგეთ პარტიის ერთი, წრფელი ამხანაგი, ნიჭიერი ორგანიზატორი და ენერგიული მოღვაწე. პარტიის მომავალი ისტორიკოსი ვერ ეტყვის ალ. ჩიქავას ამბავს. ბოლო ერის მიერ ოკუპირებულ და უკვდავ ეგირთა ბანაკში ჩაირიცხება.

ნ. ო.



დაიბადა 1882 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ შამგონაში. დაამთავრა სამოქალაქო სკოლა და სამეურნეო სასწავლებელი ქუთაისში. 1902 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1905 წლიდან. მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და გადასახლებული იყო არაერთხელ. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო თვითმმართველობის კომისიის წევრი. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში და პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩეკამ დააპატიმრა 1924 წლის 15 აპრილს. 19 მაისს მიუსაჯეს 3 წლით პატიმრობა, თუმცა 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე დახვრიტეს, სავარაუდოდ 1924 წლის 30 აგვისტოს.

Born in 1882 in the village Shamgona, Zugdidi region. Graduated from a civil school and economic institute in Kutaisi. Worked as a teacher from 1902. Joined the Social-Democratic Party in 1905. Was arrested and exiled by the Russian government on several occasions. In 1919 he was elected as a member of the Georgian Constituent Assembly. Was a member of the Self-government Commission. In 1921, following the Soviet Russian occupation joined the resistance movement while studying at Tbilisi State University. Arrested on April 15, 1924. On May 19 he was sentenced to 3 years in prison, but was executed shortly following the beginning of 1924 anti-Soviet uprising, on or around August 30, 1924.

07 2024

ივლისი 2024 July

ალექსანდრე ჩიქავა
ALEXANDRE CHIKAVA

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL

საბალადო მოსწავლეთა საბჭო · წითელ-ალმასან საბჭოთან

საპატიო გილეთი №

_____

_____ დამფუძნებელ. კრების თავმჯდომარ. უფროს ამხან.

ბ-ნს **ალექსანდრე სპირიდონის ძე ლომთათიძეს.**

_____ 19 წ.

გამგეობა



დაიბადა 1882 წლის 25 მაისს (ძვ.სტ.). სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1912 წელს მეფის ხელისუფლებამ დააპატიმრა და გადაასახლა ვოლოგდაში, საიდანაც 1913 წელს გაიქცა საზღვარგარეთ და ცხოვრობდა ლაიფციგში. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს 1921 წლის 13 ივლისს, მას შემდეგ, რაც ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში იოსებ სტალინის მოხსენების საპასუხოდ დარბაზში მძაფრი დისკუსია და მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა. გადასახლებული იყო მარიის ავტონომიურ ოლქში, შემდეგ ჩუვაშეთში. საქართველოში 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე კვლავ დააპატიმრეს და ჩასვეს ტაშკენტის ციხეში სადაც მალე გარდაიცვალა. დაკრძალული იყო ტაშკენტის ქრისტიანთა სასაფლაოზე. 2023 წელს გადმოასვენეს საქართველოში.

Born on May 25, 1882. Went to Kharkiv University. Was a member of the Social-Democratic Party. In 1912 he was arrested by the Russian regime and sent into exile to Vologda, though was able to escape the following year and went to live in Leipzig. In November 1917, he was elected as the member of the Georgian National Council. On May 26, 1918, signed the Georgian Independence Act. On March 12, 1919, was elected as the Deputy Chairman of the Georgian Constituent Assembly. Was arrested on July 13, 1921, following the address by Joseph Stalin in Plekhanov Workers Club in Tbilisi, which was marred by a heated discussions and a protest rally held by the workers. Was sent into exile to Mari autonomous district, then to Chuvashia. After the start of the 1924 anti-Soviet uprising, he was arrested again and sent to a prison in Tashkent, where he soon died. He was buried in the Christian cemetery of Tashkent. In 2023 his remains were moved to Georgia.

08 2024

აგვისტო 2024 August

ალექსანდრე ლომთათიძე
ALEXANDRE LOMTATIDZE

ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA

EXPERTISE | EXPERIENCE | EFFICIENCY

BGI LEGAL

АРХИВ №

Чрезвычайная Комиссия Грузии

Следственное ДЕЛО

9289-

სასწავლო სროლა

დღეს, ხუთშაბათს, თებერვლის 24-ს, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, სასალხო გვარდიის განსაკუთრებული ბატალიონი მოახდენს სასწავლო სროლას ამხედრო სასწავლებლის ეზოში (ბლუხნოვის ქ), რასაც ვაცნობებთ მცხოვრებთ საყურადღებოდ.



დაიბადა 1879 წელს. სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. იყო აქტიური რევოლუციონერი და 1905 წლის რევოლუციის დროს იყო „გურიის რესპუბლიკის“ ერთ-ერთი ლიდერი. მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ მრავალჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული. 1917 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან. 1918 წელს იყო სოხუმის ოლქის განსაკუთრებული კომისარი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წლიდანვე იყო ქალაქ თბილისის მოურავი (მერი). 1920 წელს იყო ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. 1924 წლის გაზაფხულზე არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. 1924 წლის 25 ივნისს დააკავა ჩეკამ. გადაგზავნილი იყო რუსეთში. საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე ფელიქს ძერჟინსკის სანქციით დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან გადაყვანისას გაურკვეველ ადგილას.

Born in 1879. Was an active revolutionary and one of the leaders of the “Gurian Republic” in 1905. Was arrested and exiled by the Russian Czarist government several times. In 1917 returned from exile. In 1918 he was a Special Commissioner of the Sokhumi District. In 1919 was elected as a member of the Georgian Constituent Assembly and became a mayor of Tbilisi City in the same year. In 1920 he was the Special Commissioner of the Batumi District. Emigrated after the Soviet Russian occupation in 1921. In the Spring of 1924 returned to Georgia illegally to participate in anti-Soviet uprising. Was arrested on June 25, 1924, and sent to Russia. Immediately following the start of the anti-Soviet uprising in Georgia, he was executed under orders of Felix Dzerzhinsky while being transported from Suzdal prison to another location. The exact place of execution is unknown.

სექტემბერი 2024 September

ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი
BENIAMIN (BENIA) CHKHIKVISHVILI

პ3	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კ3	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კ3	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კ3	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კ3	ორშ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL

ВЫПИСКА

из протокола заседания Президиума Ч.К. Грузии от 26 — II 1923 г.

СЛУШАЛИ:	ПОСТАНОВИЛИ:
[illegible]	[illegible]

Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, бандитизмом, преступлениями по должности и шпионажем.

ОРДЕР № 6264

г. 30 Мая 1923 г.

Выдан Комиссару СОН. тов. Трусиладзе

На производство ареста и обыска гражд. Цисскаришвили Габо по месторож.

по адресу Казбекская Улица д. 4.

Примечание: [illegible]

Председатель Ч.К.

Нач. Сек.

Обер. Мастер.

Справка



Следственное ДЕЛО

Гражданина Цисскаришвили Габриел

Контр-революция

ПЕРЕСЧИТАНО ПРОШНУРОВАНО

4.969



დაიბადა 1892 წელს. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1914 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1917 წელს იყო თელავის სამაზრო ერობის გამგეობის მდივანი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციისას იბრძოდა ფრონტზე. თუშებში შემორჩენილი ლეგენდის თანახმად, კახეთის ფრონტზე მისმა ნასროლმა ტყვიამ მოკლა წითელი არმიის დივიზიის მეთაური პეტრე კურიშკო. მძიმედ დაიჭრა და იმალებოდა თუშეთში. შემდგომ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დააპატიმრა ჩეკამ 1923 წლის 30 მაისს. დახვრიტეს თბილისში, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დროს, სავარაუდოდ 30 აგვისტოს.

Born in 1892. Studied at the faculty of history and philology at the University of Moscow. Since 1914 was a member of Social-Democratic Party. In 1917 held the position of Secretary at Telavi District Council. In 1919 was elected as a member of the Georgian Constituent Assembly. In 1921 fought on the front lines against the Soviet Russian army. According to a Tush legend, a bullet fired by him on the Kakheti front killed the head of the Red Army division, Petre Kurishko. Was wounded severely and was hiding in Tusheti. Later was involved in the resistance movement. Was arrested on May 30, 1923 and executed in Tbilisi, during the 1924 anti-Soviet uprising, on or around August 30.



ბიუროსტან მთავრობაძე

(ნეკროლოგი)

„27 го февраля въ 12 ночи скоропостижно скончался въ Петроградѣ г-нъ Мтавробадзе". (ეროვნ დროშა.)



გიორგი ფაღავა

15 თებერვალს დილის 1 საათზე სანგვარო კომისიის თანამშრომელთა მიერ ალექსანდრეს ქუჩაზე № 41 აღმოჩენილ იქნა ცნობილ მენშევიკის და ჩოლოყაშვილის ბანდების დამფუძნებელ გოგიტა ფაღავას ბინა. დაპატიმრების დროს გოგიტა ფაღავასთან აღმოჩნდა ისე, როგორც ნოე ხომერიკს ყოველგვარი საბუთები და მწერ-მოწერა, როგორც საზღვარგარეთელ მენშევიკებთან, ისე ჩოლოყაშვილის ბანდასთან. მრავალი მიწერ-მოწერა ხელნაწერი ჯერ-ჯერობით ამოუკითხავია.

დაიბადა 1895 წლის დეკემბერში ქუთაისში, თავადის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1913 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა 1914 წელს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დაწყებისას, ვიქტორ ნოზაძესთან ერთად მოსკოვიდან საქართველოში გამოაგზავნა ცნობილი დეპეშა - „მთავრობაძე გარდაიცვალა." 1917 წლიდან დაბრუნდა საქართველოში და იყო სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი. 1921 წლის თებერვალში იბრძოდა ფრონტზე საბჭოთა რუსული არმიის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდგომ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) პირველი თავმჯდომარე. 1924 წლის 15 თებერვალს დააპატიმრა ჩეკამ აზერბაიჯანის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრის დროს. გადაგზავნილი იყო რუსეთში. საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებისთანავე ფელიქს ძერჟინსკის სანქციით დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან გადაყვანისას გაურკვეველ ადგილას.

Was born in December 1895 in Kutaisi, to a noble family. Studied law at Moscow University. Starting from 1913 was a member of the Social-Democratic Party. Was arrested by the Czarist Russian government in 1914. During the 1917 February revolution, together with Viktor Nozadze, sent a famous cable from Moscow to Tbilisi, informing, in coded words, that the "government had died". Returned to Georgia in the same year and became one of the founders of the National Guard. In 1919 was elected as the youngest member of the Georgian Constituent Assembly. In 1921 fought on the front lines against the invading Russian army. After the Soviet Russian occupation was the first chairman of the Georgian Independence Committee. On February 15, 1924, was arrested during the meeting with Azerbaijan's resistance movement leaders. Was sent to Russia. Immediately following the start of the anti-Soviet uprising in Georgia, he was executed under orders of Felix Dzerzhinsky while being transported from Suzdal prison to another location. The exact place of execution is unknown.

ნოემბერი 2024 November

გიორგი (გოგიტა) ფაღავა
GIORGI (GOGITA) PAGHAVA

პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL



დაიბადა 1865 წელს ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ ეწერში. დაამთავრა პირველადი სამინისტრო სასწავლებელი. 1898 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ მრავალჯერ დააპატიმრა პოლიტიკური საბაბით. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო სამეურნეო-საგამგეო კომისიის თავმჯდომარე, აგრარული, თვითმმართველობის და შრომის კომისიების წევრი. 1921 წლის დასაწყისში სხვა 11 წევრის ჩათვლით გამოეყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და დაარსეს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია „სხივი.“ 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობა ვერ მიიღო, საოკუპაციო რეჟიმმა მაინც დააპატიმრა და დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს ბოლოს.

Born in 1865 in the village of Etseri, Kutaisi District. Graduated from a primary ministerial school. From 1898 was a member of the Social-Democratic Party. Was arrested by the Russian government on numerous occasions. In 1919 was elected as the member of the Georgian Constituent Assembly. Was a member of the economic-management commission, as well as agricultural, self-governance and labor commissions. In the beginning of 1921, together with other 11 members, separated from the Social-Democratic Party and established independent Social-Democratic Party “Skhivi”. After the Soviet Russian occupation of 1921, he got involved in the resistance movement. Though unable to participate in the 1924 anti-Soviet uprising due to severe illness, was arrested by the occupational regime and executed at the end of August 1924.

დეკემბერი 2024 December

ილია კოპალეიშვილი
ILIA KOPALEISHVILI

კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU	WE	TH	FR	SA	SU	MO	TU

EXPERTISE EXPERIENCE EFFICIENCY

BGI LEGAL

BGI LEGAL
EXPERTISE. EXPERIENCE. EFFICIENCY.

ბიზნეს ცენტრი „მეიდან პალასი“
კოტე აფხაზის ქუჩა, 44
თბილისი, 0108, საქართველო

bgilegal@bgi.ge
www.bgi.ge

Meidan Palace Business Center
44, Kote Abkhazi Street
Tbilisi, 0108, Georgia

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

SOVLAB
საბჭოთა წარსულის კვლევის laboratoria

გამოყენებულია: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეროვნული არქივის მასალები.

შეადგინეს დავით და ირაკლი ხვადაგიანებმა (სოვლაბი)
დიზაინერი - ნია მშვიდობაძე
თარგმანი - თამარ თევდორაძე

Compiled by David Khvadagiani and Irakli Khvadagiani
Design by Nia Mshvidobadze
Translation by Tamara Tevdoradze